დროება № 418, 1874
ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მეცხრე.—№ 418

პარასკევი, 12 აპრილს 1874.

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მ.ნ., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.

**ხელის-მოწერა**

ტფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ. სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ძვ ნოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, მამუროვის სახლებში.

## შინაარსი:

საქართველო: ტფილისის სადგილ-მამულო ბანკი — წვრილი ამბები — „დროების“ კორრესპონდენცია: ქუთაისიდგან პარიჟიდგან — სკანდელის თავის გამართლებაზედ, იუნკერი თარხან მოურავისა — რუსეთი: წვრილი ამბები — უცხო ქვეყნები: საფრანგეთი — იაპონია — კორრესპონდენცია ჟენევიდგან — ნარევი — განცხადებანი:

# საქართველო

## ტფილისის სადგილ-მამულო ბანკი.

10 მარტს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წესდება სამინისტროდგან სახელმწიფო რჩევაში შეუტანიათ დასამტკიცებლად. იმედია, რომ ეს წესდება მალე დამტკიცდეს, რადგანაც მიღებული ჩვენგან ცნობებისაგან სჩანს, რომ სამინისტროს მხრით არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არ შეხვედრია. მაგრამ სამინისტროს მოუხდენია ამ წესდებაში რამდენიმე ცვლილება, რომელთაგან ზოგი ცოტათი სხვა ხასიათს აძლევს მომავალს ბანკს;

სამინისტროს საჭიროდ დაუნახავს იმ მუხლების შეცვლა, რომელნიც ბანკის მმართველობას შეეხებიან. წესდების ახალს მუხლში ნათქვამია თურმე, რომ ზედამხედველი კამიტეტისა და ბანკის სამმართველოს წევრნი წესდების დამტკიცების შემდეგ ხელ ახლა უნდა აირჩიოს თავად-აზნაურების საზოგადო კრებამ. ამას გარდა, ყოველს წელს (და არა მესამე წელს, როგორც ჩვენს წესდებაში იყო) წილის ყრით უნდა გამოვიდეს სამმართველოდგან ერთი წევრი და იმის მაგიერ ახალი უნდა დაინიშნოს, ასე რომ მთელი სამმართველო ცხრა წლის მაგიერ სამს წელს განახლდება. ამ ცვლილებიდგან ჩვენს ბანკს არა ვითარი ვნება არ უნდა მიეცეს, თუ რომ აზნაურების კრება საზოგადო სარგებლობას არ დაივიწყებს და თავდაპირველად და შემდეგშიაც იმისთანა კაცებს აირჩევს კამიტეტისა და სამმართველოს წევრებად, რომელნიც სიტყვითაც და საქმითაც კეთილ საიმედო კაცებათ ცნობილნი იქნებიან.

სხვა ამაზედ უფრო წვრილმანი ცვლილებანი, რომელნიც ბანკის მმართველობას შეეხებიან, როგორ გვატყობინებენ, სასარგებლო არიანო ჩვენის ბანკისათვის და არა მავნებელი.

მეორე უფრო დიდი ცვლილება სამინისტროს გირაოთ მისაღების ადგილ-მამულების — სახელდობრ ვენახისა და ხილნარი ბაღების შესახებ მოუხდენია. სამინისტროს აზრით ვენახები და ხილნარი ბაღები ისეთს საიმედო გირაოს არ შეადგენენ, რომ ბანკმა იმათში გრძელ ვადიანი სესხი მისცეს, ან თუ მისცა, გირაოს ფურცლების გასაღება გაძნელდება, იმათ ფასი დაუვარდებათო. ამიტომ სამინისტროს გარდაუწყვეტია, რომ ვენახებსა და ბაღებში ს'ხათ ნაღდი ფული უნდა მიეცესო და მარტო სამის წლის ვადით. ამ სამის წლის განმავალობაში მსესხებელმა ბანკს სარგებელი უნდა აძლიოს. თუ სამის წლის ბოლოს ბანკის სამმართველო შეამოწმებს და დაინახავს, რომ დაგირავებულს ბაღებსა და ვენახებს პატრონი კარგად უვლის, მაშინ ვალის გადახდა კიდევ ხუთის წლით ედროვება, იმ პირობით რომ თითოეული წლის განმავალობაში ვალის მეხუთედი გადაიხადოს.

## წვრილი ამბები

— ერთი ფრანცუზული გაზეთის პეტერბურღელი კორრესპონდენტი აცხადებს, რომ რუსეთის მმართებლობა მოკითხვის წიგნის გასაგზავნს ფოჩტის ფულზედ ნახევრის დაკლებას ჰფიქრობსო, ასე რომ, თუ ეს მართალი გამოდგა, ორი შაურის მაგიერად წიგნის გასაგზავნად ერთ შაურს გადვიხდით.

— ერთი რუსული გაზეთი გვაცნობებს, რომ ტფილისიდგან აზრუმამდის რკინის გზის გაყვანა მალე გადაწყვეტილი იქნებაო. იქნება ბორჯომამდის რკინის გზისათვის გამოსადეგი შოსსეს გაკეთებას ამ აზრუმის გზასთან აქვს კავშირი.

— გაზეთის „კავკაზის“ კორრესპონდენტი იწერება, სხვა და სხვა ცნობებს რაჭისა და ოზურგეთის მაზრებზედ. მართალია თუ არა ეს ცნობები, ჩვენ არ ვიცით: რაჭის მაზრაში 33 სოფლის საზოგადოება არისო, 8,585 კომლი სცხოვრებს, აქედამ 25,037 სული მამაკაცი და 25,975 სული დედაკაცი. ამათში წერა-კითხვის მცოდნე — 866, ხელობის მცოდნე — 597. თითოეულს სოფლის საზოგადოებაზედ 26 თუ 27 წერა კითხვის და 20 ხელობის მცოდნე კაცი ყოფილაო. ანგარიშში არ შედის არც თავად-აზნაურობა და არც სამღვდელოება.

ოზურგეთის მაზრაში 10,798 კომლი მცხოვრები ყოფილა. აქედამ მამაკაცი 36,197 და დედაკაცი 36,078 სული. ამათგან 1320 წერა კითხვის და 428 ხელობის მცოდნე არისო. ამას გარდა კორრესპონდენტი ამბობს, რომ ამ მაზრაში არც ერთი იმისთანა სასოფლო შკოლა არ არისო, რომ რაჭის შკოლებს შეედაროსო. იქ შკოლები მშვენიერი ქვითკირის ორ ეტაჟიან შენობებს წარმოგვიდგენენო; ამ შენობებს ისე სუფთათ ინახვენ, რომ უკეთესი არ შეიძლება. მოსწავლე ყმაწვილები წმინდათ ჩაცმულები დადიანო შკოლაში. სჩანსო რომ რაჭის მაზრას შეძლებული ხალხი ჰყავსო.

ოზურგეთის თითქმის უშკოლო მაზრაში წერა-კითხვას გავრცელებას კორრესპონდენტი უფ. გერარდის მოღვაწეობასა და 20 კავკასიის ლინეინი ბატალიონის გავლენას აწერს. ეს ბატალიონი გურიაში 17 წელიწადია სდგასო; ამ ბატალიონში მოსამსახურენი დაემოყვრნენ გურულებს და ამან ძლიერ შეეწიაო რუსული წერა კითხვის გავრცელებას.

სჩანს, რომ კორრესპონდენტისაგან მოყვანილი ცნობები მარტო რუსული წერა-კითხვის გავრცელებას შეეხება, თორემ ჩვენ არ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენში ასე ცოტა წერა-კითხვის მცოდნე კაცები იყვნენ.

— 26 პუბლიკურ ლექციებზედ, რომელიც ტფილისის წრეში წაიკითხეს, შეკრებილა 1,155 მანეთი. ლექციები უსმენიათ 2,912 კაცს. მსმენელების რიცხვი არ ასცილებია 380 და 170-ზედ არ დაუკლია. ყველა ლექტორებზედ უფრო სიმოვოვიჩისას დაერიცოვს უფრო ბევრი წვეულები ჰყოლიათ.

— ტფილისის მოამბეში დაბეჭდილია კავკასიელი იურიდიკული საზოგადოების პრეზიდენტის, უფ. ანდრეევის წიგნი, რომლითაც ის აცხადებს, რომ საზოგადოების კამმისიამ უარი სთქვაო უფ. ნიკოლაძისაგან წინადადებულის კითხვების განხილვისა.

ამას „ტფილისის მოამბე“ დასძინებს: ნ. ნიკოლაძემ გვთხოვა გამოვაცხადოთ, რომ ქუთაისის მაზრის სამსაჯულოს „განმარტებაზედ“ პასუხის დაწერა ჯერ ჯერობით არ შემიძლიან, რადგანაც ეხლა საზღვარს გარეთ ვარო და საქმის განსამარტებელი ცნობები, მიღება მხოლოდ ქუთაისში ყოფნის დროს მოხერხდებაო.

— ქუთაისიდგან გვწერენ, რომ ქუთაისის და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლების მასწავლებლები თავისთვის კასსასა და მუდამ საჭირო ნივთებისა და ხორაგეულის მაგაზინს იკეთებენო, იმ აზრით რომ თვითონ თავისი ცხოვრება გაიიაფონ და თუ სარგებელი რამე შემოუვათ გარეშე მყიდველთაგან, იმითი წერა-კითხვისა და სწავლის გავრცელებას შეეწიონ.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ქუთაისი, 22 მარტს 1874 წ.

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ცხოვრებაში გუშინდელი დღე სწორედ შესანიშნავი შეიქნა: გუშინ საღამოს ექვს საათზედ სასწავლებლის სამმართველოს თავს მჯდომმა, სასწავლებლის ზედამხედველმა, მისცა წევრებს შემდგომი წინადადება: „მისთვის, რომ სასწავლებლის საქმე წავიდეს კარგათ, საჭიროებელია ყოველ წელიწადს თითო მასწავლებელთაგანი გაიგზავნოს რუსეთში და, თუ საჭიროება მოითხოვს, ევროპაშიაც თავის საქმის და საგნის შესასწავლელად მასწავლებლების ხარჯზედვე. ეს საქმე უნდა მოხდეს ამ გვარად: მასწავლებელს, რომელიც განემგზავრება მოხსენებული დანიშნულებისათვის, უნდა ეგზავნოს მისი ჯამაგირი და იმის საგანი უფასოთ ასწავლონ დანაშთენმა მასწავლებლებმა. ვადა მგზავრობისა უნდა დიდოს ერთი წელიწადი, რომლის შემდეგ მოგზაური ვალდებული იქნება დაბრუნდეს სასწავლებელში, მისცეს მას სამმართველოს ანგარიში თავის მგზავრობისა, წარუდგინოს მას წერილობითი დამტკიცებაები თავის საგნის და საქმის კარგათ შესწავლისა და განაგრძოს თავისი თანამდებობა არა ნაკლებ ორის წლისა. ამ გვარი მოქმედება არ იქნება წინაალმდეგი სასწავლებლის წეს-დებისა და მოგვიტანს დიდ სარგებლობას“. მთელი სამი საათი იყო განცხოველებული სჯა ამ საგანზედ. თვითოეული სამმართველოს წევრთაგანი ადგენდა თავის პიროვან სჯას ამ საგნის შესახებ და ყოველ მათს კითხვაზედ ეძლეოდათ მათ თუ თავს მჯდომარისაგან, თუ ერთმანეთისაგან პასუხი. მასწავლებლებმა, რომლებიც დაესწრნენ ამ გვარ შესანიშნავ შემთხვევას და რომლებთანაც წინათვე მოლაპარაკებული იყო სასწავლებლის ზედამხედველი, ერთ-ხმათ განაცხადეს სამმართველოს წევრების წინაშე თავთავიანთი სრული თანხმობა თავიანთ ხარჯზედ მოხსენებულ გვარად თითო მათგანის ყოველ წელიწადს გაგზავნა სამგზავროთ. რა რიგად სასიხარულოა ეს საქმე, მე ამაზედ მხოლოთ იმას ვიტყვი, რომ ამ საქმეს, როგორათაც ყოველ ახალს საქმეს, გუშინდელ სჯაში ეძლეოდნენ სხვა და სხვა დაბრკოლებები, მაგრამ ეს დაბრკოლებები ისეთი უსაფუძვლონი გამოჩნდნენ, რომ საქმის დაბოლოებას ვერაფერი ვნება ვერ მისცეს. აი მაგალითებრ რანაირათ დაიწყო ლაპარაკი ერთმა პატივცემულმა წევრმა. „ჯერ შევიტყოთ, არქიერი თანახმა გაგვიხდება თუ არა და მერმე ჟურნალური დადგინება მოვახდინოთ ამ საქმეზედაო“ და ამას დასძინა იმან ისიც, თუ, როგორც ის სჯის, ეს საქმე იქნება წინაალმდეგიო, ამისთვის რომ წესდებაში არსად არის ამ გვარ საქმეზედ რამე ნათქვამიო, არც მაგალითსა ვხედავთ ქუთაისის და ტფილისის სასწავლებლებში და მრავალი ამგვარი. მეორე ამბობდა, რომ წლის ჯამაგირი მგზავრობისათვის სამყოფი არ იქნებაო და სხ. და სხ. მაგრამ თავს მჯდომარის შენიშვნებმა მოუღეს ამ გვარ აზრებს ბოლო. პირველს მან უპასუხა, რომ სხვის ჭკუით ცხოვრება სასახელო არ არისო და მეორეს მისცა შენიშვნა, რომ ჯერ ერთი საქმე გადაწყდეს და მერე მეორეზედ ვიფიქროთო. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, უმეტესი მხრით გადაწყდა საქმე, რომლის მაგალითი ჯერ, რასაკვირველია, არ გვინახავს ქუთაისის, ტფილისის და ანუ სხვა სასწავლებლებში. მართლაც და, არქიერი თანახმა გახდება ამ გადაწყვეტილებაზედ, თუ არა, ჯერ არ ვიცით. მაგრამ საქმე მაინც შესრულდება, რადგანაც ამ საქმის შესრულება თავს იდვეს ერთიანათ ზედამხედველიდგან დაწყობილი წრის მასწავლებლამდე.

აქრიალა ბჭყალაძე.

პარიჟი, 31 მარტს 1874 წ.

ამას წინათ გწერდით, რომ ერთი აქაური პროფესორი ქართველი, პარიჟელი და პროვანსელი ქალის სიმშვენიერეზე ლექციის წაკითხვას აპირებს, მეთქი. მოკლე სიტყვით გადმოგცემთ ამ ლექციის შინაარსს:

როგორც მოგეხსენებათ, ფრანცუზები ძალიან მყბედარა ხალხია: უკანასკნელი ნახევარი საათის განმავლობაში უფ. პუანსელო ჯერ საზოგადოთ „სიმშვენიერეზე“ ლაპარაკობდა. აგვიხსნა, რომ სიმშვენიერე სამნაირი არისო: ზნეობითი, ფიზიკური (ანუ სხეულის) და ღვთაებრივიო. ვინ იცის, რას არ არ მოედო, რას არ შეეხო, სად არ გადახტა, როდესაც ამ საგანზე ლაპარაკობდა! ბოლოს, როგორც იყო, თავის ლექციის საგანს დაადგა და, სხვათა შორის, თქვა, რომ ადამიანის სრული, იდეალური სიმშვენიერე მაშინ გამოიხატება ჩვენს გონებაში, როდესაც ქალში ან კაცში გარეგან—სხეულის სიმშვენიერესთან შინაგანი—სულისა და გონების სიმშვენიერეც იხატება. რაც უნდა მშვენიერი იყოს ადამიანი, თუ იმის პირის-სახეზე გონიერება და აზრიანობა არ იხატება, იმის სიმშვენიერე ვერ დაგვაკმაყოფილებსო.

×

ყველა მოგზაურები და მწერლები თანახმა არიანო, განაგრძო იმან, რომ ქართველი ქალი დედა-მიწის ყველა ქალებზე უფრო მშვენიერი არისო, როგორც ტიპი იმისთანა მშვენიერს ქალს ჩვენ ვერსად ვერ ვნახავთო. თეთრი ხორცის კანი, მშვენიერი მოყვანილობა, შავ თმა-წარბი, კარგათ მოყვანილი თვალები, ლამაზი ბერძნული ცხვირი, პატარა ტუჩები,—ყველაფერი რაც ქალის სიმშვენიერეს შეადგენსო. მაგრამ ქართველები ბარბაროსები არიანო, ქართველ ქალებს არავითარი სწავლა—განათლება არა აქვთო; და მაშა სადამე თქვენ ადვილად შეგიძლიანთ გაიგოთო, რომ იმათ სახის გამომეტყველება არ უნდა ჰქონდესთო. ისინი მშვენიერები არიან, როგორც კარგათ დახატული სურათები, იმათ სახეზე ვერც ჭკუას, ვერც აზრიან და ვერც სხვა რამე გამომეტყველებას ვერ წაიკითხავთო.

მის მაგიერად პარიჟელი ქალი, თუმცა ქართველ ქალსავით ლამაზი არ არის, მაგრამ პირის სახეზე რომ დააკვირდეთ, უსათუოდ შეატყობთ, რომ ჭკვიანი, მოხერხებული და გონიერი სულდგმულია; უსათუოთ იმის სახეზე გამომეტყველებაა; ამის გარდა გაზდილობის წყალობით, იმას მშვენიერი მიხრა-მოხრა და მანერები აქვს, ის განხორციელებული გრაციაა...

ჩვენ პროვანსელ ქალს ქართველი ქალის სიმშვენიერეც აკლიაო და პარიჟელის სახის გამომეტყველებაო.

ამ ტემაზე პარიჟელმა პროფესორმა უკანასკნელი საათ ნახევარი ილაპარაკა. რამდენიც გერჩიოსთ, იმდენი მყბედარა დაუძახეთ თქვენ იმას, თუ გნებავსთ, კიდეც გაუწყრით იმისთვის, რომ ქართველებს ბარბაროსები და მხეცები დაგვიძახა; მაგრამ რამდენიც უნდა გაუწყრეთ, არ შეგიძლიანთ, რომ იმის აზრს ჩვენებურ ქალებზე არ დაეთანხმოთ. დაე, ქართველმა ქალმაც მიაქციოს ყურადღება მისთვის არა სასიამოვნო, მაგრამ ჭეშმარიტს აზრს.

ს. მესხი.

---

## უფალის სკანდელის თავის გამართლებაზედ.

მე მხოლოდ ამ დღეებში შემხვდა ნიკოლაძის პასუხი ფურცელაძესთან, შესახებ ჟულ-ფავრის ჩამოხრჩობისა.

ის აცხადებს, რომ მე, როგორც იუნკერს არ გამიყადრებდა, რომ ჩემთვის ეთქვას რამე ამ გვარი, როგორც ჟულ ფავრის ჩამოხრჩობა. მაგრამ საკვირველი მახვილი კაცია უფ. სკანდელი! ნიადაგ ოხუჯობს და უბედურება ის არის რომ მასხარათ თითონ გამოდის. აბა წაიკითხოს ჩემი წიგნი ფურცელაძესთან და ნახავს, იქ არის ნათქვამი, რომ ჩემთან ილაპარაკა და არა მე მელაპარაკა. მე მაშინ სრულებით არ ვიცნობდი უფ. სკანდელს. მხოლოდ იმ ლაპარაკის შემდეგ, როდესაც ეგ ბავშური თავმოწონებით ტრაბახობდა, ვითომც ერჩიოს ფრანცუზებისთვის ჟულ-ფავრის დახრჩობა და სხვა ამ გვარები, მაშინ ვიკითხე მისი გვარი და სწორე გითხრა მკითხველო თუმც იუნკერი ვარ, მაგრამ მაშინვე ჭკუა არეულათ მეჩვენა ან დიდათ გალაზღანდარაებულ, გაცვეთილ ხლესტაკოვათ. მართლათაც და ბოლოსა და ბოლოს დაამტკიცა ეს ჩემი ჰაზრი თავისი ფელეტონებით, და მეტადრე ამ თავის პასუხით, სადაც ამბობს: „მე ჩვეულებათ არა მაქვს იმ გვარს კაცებთან ლაპარაკის გამართვა, რომელნიც გონების გახსნით ჩვენს ძოხუცებაზედ ბევრით მაღლა არა სდგანან, და არა მგონია რომ ვინმემ გამართოს ამ გვარი საუბარი პირველ შემხვედარს უმეცარ და უსწავლელ იუნკრებთან.“ აბა, საცოდავს ეგ არ აკვირდება იმას, რასაც სწერს და დღეს აღარ იცის, რაც გუშინ დაუწერია, თქმა აღარ უნდა, რომ ეგ არც იმას დააკვირდებოდა რასაც ეგ ხლესტაკოვობდა თავის მსმენელებთან. რაც შეეხება იმას რომ ეგ ისე არ დაიმცრობს თავს, რომ იუნკრებს თავი გაუყადროს სალაპარაკოთ, ამაზედ შემდეგს პასუხს ვაძლევ, რომ ჯერ არც ერთს იუნკერს პატიოსნობის დამცრობა არ უკადრია. და თვით ნ. ნიკოლაძეზედ რასაც ლაპარაკობენ, ამას მკითხველი „კრებულში“ დაბეჭდილის უფ. ანტ. ფურცელაძის სტატიიდგან შეიტყობს (ნახე „კრებულის“ მეათე წიგნი), ვინც რასმეს დასწერს უფ. სკანდელზედ, ის მაშინვე ნამდვილი საბუთებით თავის გამართლების მაგივრათ მაშინვე წამოაჭენტებს, რომ ამას იმიტომ მიწერენო, რადგანაც ესა და ეს არ დაუბეჭდეო. ფურცელაძე უმტკიცებდა მაგას უმეცრებას მაგან მაშინვე დააბრალა იმას, რომ იმიტომა სწერს ჩემზედ ამასაო, რადგანაც მე მაგას „მიტესა“ არ დაუბეჭდეო; მე მივეც მოწმობა ფურცელაძეს იმისთანა, რაც მოეთხოვება ყოველ პატიოსანს კაცსა, სკანდელმა მის დარღვევის მაგივრათ დააბრალა ესეც იმას, რომ კომედია არ დაუბეჭდეო. რა პატიოსნებაც თითონ არის, რომ ვინც აწყენინებს რასმეს, მაშინვე ცილობასა და ლაზღანდარობას მიჰყოფს ხელსა, როგორც ეს უყო მაგან მოგებაშვილს და სხვებს ისრე სხვები ჰგონია. ვსთქვათ ეს ყველა ჩვენი მოგონილია, უფ. სკანდელო, მაგრამ იმისას რაღას გვიბძანებთ რაც ბეჭდით დაგიმტკიცეს?! რაც შეეხება დაუბეჭდაობას ფურცელაძემაც არ დამიბეჭდა რომელიმე თხზულებანი, მაგრამ მის სასარგებლოთ სიმართლე არ დავიშალე. (მე ვგონებ ჩემი თხზულება თქვენთვის არა მამიციარა დასაბეჭდათ) იმისი არ იყოს რომ ფურცელაძემ ვერც ზნეობით მოახერხა ჩვენი მოკვლა და ვერც ფიზიკურათაო... მე არ ვიცი როგორ უნდა მოეკლით ფურცელაძეს ზნეობით? მე მხოლოდ ეს ვიცი რომ მოკვლა მხოლოდ ცოცხლისა შეიძლება! რაც შეეხება ფიზიკურს სიკვდილს იმის შესახებ გირჩევთ, რომ როდესაც ეს დაგავიწყდესთ ჩაიხედოთ ხოლმე სარკეში...

იუნკერი თარხან-მოურავი.

თბილისი მარტს, 1874-სა წ.

---

# რუსეთი

—„მოსკოვის უწყებები“ გვაცნობებენ, რომ სახელმწიფო რჩევაში შეტანილია ეხლა სახალხო განათლების მინისტრის წარდგინება სასოფლო შკოლების თაობაზედ. ამ მინისტრის პროექტის ძალით ყოველს რუსეთის გუბერნიაში, სადაც საერო წესდებულება არ დაუდგენიათ, თითოეულს ათას სულს მამაკაცზედ თითო შკოლა უნდა გაკეთდეს. თითოეულს შკოლას სარჩოდ უნდა მიეცეს 230 მანეთი, აქედამ 130 მასწავლებლისათვის და მღვდლისათვის სამღვთო წერილის სასწავლებლად 75 მანეთი, და საშკოლო სახელმძღვანოებისათვის 25 მანეთი. საშკოლო სახლის აშენება ან დაქირავება, შეშა, სანთელი, მოსამსახურე იმ სოფლის ხარჯზედ უნდა იყოს, რომელიც ამ შკოლით სარგებლობს.

—ვლადიმირის ეპარქიაში ადგილობრივს საეპარქიო მთავრობას შეუდგენია იმ პირთ სია, ვისაც კი სემინარიის კურსი გაუთავებია და ვლადიმირის გუბერნიაში სცხოვრებს და ამ სიაში ჩაწერილი პირებისათვის მოუთხოვია, რომ თითოეულმა იმათგანმა რამდენიმე ქადაგება დასწერონ აღნიშნულს მთავრობისაგან საგნებზედ. ამბობენო, რომ საუკეთესო ქადაგებები უნდა დაიბეჭდოს და მერმე ყველა იმ საეპარხიოს სამრევლო მღვდლებმა უთუოდ უნდა იყიდონ. ქადაგების შედგენისაგან ისინიც არ არიან განთავისუფლებული, რომელთაც სემინარიის კურსი გაუთავებიათ და სასოფლო შკოლებში მასწავლებლებათ არიან. ამ ქადაგებებისაგან ორ ნაირი სარგებლობა მოგველის: ერთის მხრით კარგი ქადაგებები შეგვემატება და მეორეს მხრით გავიგებთ მაინც კეთილ საიმედო მიმართულების არიან თუ არა ის კაცები, რომელთაც სამღვდელო უწყება დაუტოვებიათ და წერა-კითხვის ხალხში გავრცელება უკისრნიათ.

—21 მარტს პეტერბურღში უფ. რადდეს ლექციები წაუკითხავს ჩვენს კავკასიის მხარეზედ. რუსული გაზეთი „ხმა“ ამბობს, რომ „კავკასის“ მთიული ხალხების დამორჩილების შემდეგ, კავკაზიის მხარის რუსეთთან და ევროპასთან დამოკიდებულება სრულიად შეიცვალაო. ეხლა ამ ქვეყნის ყოველ მხრივ გაცნობა ჩვენთვის ძლიერ სახალისო არისო. უფ. რადდემ ნამდვილი სურათი წარმოგვიდგინა კავკასიის მთების და სხვა ადგილების, მერმე შეუდგა იქაური მცენარეების და ცხოველების აღწერას. მეორე ლექციაზედ იმან გაგვაცნო კავკასიელი ხალხები, იმათი ეხლანდელი მდგომარეობა და მოსალოდნელი მომავალი. რადდე ამბობდა, საჭიროა, რომ კავკასიის შემუშავება, ალებმიცემა და მრეწველობა „გონიერული შრომისა და ევროპიული კაპიტალების „შემწეობით“ წინ წავწიოთო.

ბოლოსს რადდეს ულაპარაკნია ნავთის შემუშავებასა და ვაჭრობაზედ, რომელშიაც ეცილებიან ერთმანერთს რუსებისა და სომხების კაპიტალები.

---

— რუსეთში სობოროებსა და მონასტრებს მიკუთვნებული საყდრებს გარდა 35 ათასი საყდარი ყოფილა, ამათში 31 ათასი სამრევლო ეკკლესია. სამღვდელოება ამ ეკკლესიებისა ყოფილა: დეკანოზები და მღვდლები 37,718, დიაკვნები—11,857 პრიჩეტნიკები—65.951. ნახევარი ამ ეკკლესიებთაგან სახელდობრ 17,667 სახელმწიფო ხაზინიდგან იღებენ 4.384,412 მანეთს და ამას გარდა თვითონ მმართებლობა ხარჯავს საყდრებზედ წელიწადში 5,200,000-ს მანეთამდის.

— რადგანაც რუსეთში ფრანცუზული საზომისა და საწონის შემოღება საჭირო შეიქნა, ამისათვის, როგორც ამბობენ, ჯერ შესაჩვევად ფოჩტაში, ტელეგრაფში, ტამოჟნებში და რკინის გზებზედ უნდა შემოიღონ; მერმე ნება მისცენ ყველას, ვისაც სურს, ეს ახალი საზომები და საწონი იხმარონ და როცა კარგად შეეჩვევიან, ძველი ანგარიში უნდა გადავარდეს.

# უცხო ქვეყნები

### საფრანგეთი,

— უკანასკნელს დეპუტატების არჩევაზედ კიდევ ბევრს ლაპარაკობენ საფრანგეთის გაზეთები. ლეგიტიმისტები სცდილობენ-რომ მაკ-მაჰონის შვიდის წლის პრეზიდენტობა თავის წინამძღოლების სასარგებლოდ მოიხმარონ. ბონაპარტისტები ცხადად ამბობენ, რომ ჩვენ არაფრის გულისთვის არ დავთანხმდებით ხალხის საყოველთაო არჩევაში უფლების შევიწროებაზედ, რომელსაც ნაციონალური კრების მარჯვენა შუაგული აპირებსო.

— მმართებლობის გაზეთები სჩივიან, რომ ბონაპარტელები პროვინციებში თავისი პრინცის სასარგებლოდ ჰქადაგობენო: თურმე ბონაპარტელები ნაპოლეონ მესამის ისტორიის სახალხოდ დაბეჭდას აპირებენ, რომლითაც ნაიმპერატორალის ყველა მოქმედების გამართლება უნდათო.

— პარიჟში ბევრს ლაპარაკობენ ბროლის სამსახურიდგან გამოსვლაზედ და იმის მაგიერ ბიუფეს დაყენებაზედ. ბროლი, რომელიც ეხლა ძალიან სძულს უკიდურესს მარჯვენა მხარეს, უფრო უშლის პალატის უმრავლესობის ერთობას, ვინემ ეწევა. მაგრამ გამოვა თუ არა უფ. ბროლი სამსახურიდგან, სამინისტროს მაინც სამი დაბრკოლება შეხვდება წინ: ერთი ესა, რომ ლეგიტიმისტებს თავისი კანდიდატის შამბორის ტახტზედ აყვანა სურთ; მეორე—რესპუბლიკელები პალატის დათხოვნას სცდილობენ; ორლეონელებს კი უნდათ ახალი „შეუძლებელი“ აღრჩევითი კანონის დამტკიცება და მეორე სენატის დადგინება, რომელიც „საჭირო“ სრულიად არ არის. თუ მმართებლობამ შამბორისა და რესპუბლიკის მომხრეებს არ სძლია, მისი საქმე წასულია. რაც შეეხება მესამე პლანს, დამარცხდება იმაში მმართებლობა, თუ გაიმარჯვებს სულ ერთია, ამიტომ რომ მმართებლობა მაინც სახელ-გატეხილი იქნება.

— გაზეთები გვარწმუნებენ, რომ როგორც ნაციონალური კრება ხელახლა სხდომებს გამართავს, ლეგიტიმისტების ერთი ნაწილი მონარხიის აღდგინებაზედ კითხვას

ოძრავსო. ამ საქმის ხელმძღვანელობას თვითონ გრაფი შამბორი კისრულობსო.

## იაპონია.

იაპონია თანდისთან წინ მიდის. ქალაქებს გაზით ანათლებენ, ნავთ-სადგურებს ახალს რკინის გზებს და შკოლებს აკეთებენ თითქმის წარმომადგენებლობით მმართებლობაზედაც ჰფიქრობენ. სახელმწიფო რჩევაში განიხილეს რამდენიმე გამოჩენილი კაცების თხოვნა ამ საგანზედ და ეს შუამდგომლობა კიდეც მოიწონეს, მაგრამ საჭირო, რომ ამ თხოვნის ასრულება ცოტას ხნით გადავდვათო.

## კორრესპონდენცია.

ჟენევა, 5 აპრილს 1874.

ამ წასულ კვირას ჟენევას ჰქონდა ერთი იმ თავისუფალი დღესასწაულობათაგანი, რომელიც განსაკუთრებით სიცოცხლეს აძლევს აქაურ ცხოვრებას. ამ ერთი დღის მხიარულებას სულ პატარა მიზანი ჰქონდა; მოქალაქეებმა აქ ისურვეს ერთი დღის მხიარულად გატარება, რომ მათ ერთმანეთისათვის თავის ძმობა გაეხსენებინათ და თავის მამულის სიყვარული გამოეთქვათ ყველას საგრძნობელათ. ეს დღესასწაული პატარა მუზიკალურ კრებას შეადგენდა. ორი-სამი აქაური მუზიკალური საზოგადოების თაოსნობით აქ იყვნენ მოწვეულნი ლოზანისა ნევშატელისა და ვალეს კანტონებიდგან იქაური მუზიკალური საზოგადოებანი, რომ ყველას მათ ერთად ერთი დღე გაეტარებინათ. შაბათ საღამოს, როცა მოვიდნენ ამ კანტონებიდგან, ისინი მიიღეს, როგორც აქ ჩვეულება აქვსთ, მათთვის მომზადებულ ბინებზე. საქმე დიდი არა იყო რა, მაგრამ ერთი მზადება ჰქონდათ მაინცა მათ მისაღებათ; სამი დღის წინ ქალაქში ყველგან შეხვდებოდით აფიშებს, სადაც ამ დღესასწაულის კომიტეტი დიდის სიამოვნებით აცხადებდა, რომ ამ კვირას აქ ჩვენი თანამემამულენი მოვლენო და აბა თქვენ იციოთ, ეუბნებოდა მოქალაქეებს, როგორც პატივის ცემას გამოუჩენთო. ამ კანტონებს შორის, რომელიც ეხლა შვეიცარიას შეადგენს, ყოველ ნაირი მათი დაახლოვების და შეკავშირების საფუძველი ეს ერთი ერთმანეთის პატივისცემა, სიყვარული და დაფასება არის. შორიდგან რომ შეხედოს კაცმა, შეიძლება თქვას, რომ შვეიცარიის ერთობას გარეგანი მტრის შიში ამაგრებსო; მაგრამ ეს სრულებით არ არის მართალი; ან უკეთ ვსთქვათ, თუმცა ამ მიზეზს აქვს რამოდენიმე ამ ნაირი მნიშვნელობა, მაგრამ მისი მეოთხედიც არა, რაც სხვას. შიშს არასდ არა გაუკეთებია რა და ვერცარას გააკეთებს ვერასოდეს. შიში საომრად კარგია, რისიმეს დასარღვევლად, წასახდენად; მისი შემწეობით არასოდეს მკვიდრი არა შესდგება რა. კაცმა თითონ უნდა დააფასოს რასში არის მისი სარგებლობა, რას შეუძლია მისი ბედნიერების დამყარება და მაშინ იმ საფუძველს უნდა დაემკვიდროს, რასაც ამ გამოძიებით ის მოიპოვებს. როგორც პატარა საზოგადოებაში, პატარა წრეში, ისე მთელი ხალხების კრებაში, ფედერაციაში, ერთი სასაფუძვლო აზრი არის გამოაშკარავებული, რომლის დარღვევა იეფად არ უჯდება არც ერთს, და არც მეორეს: თითოეული პირის ან ხალხის პატივისცემა და დაფასება, რომელიც კაცს კაცად ხდის, მას აფიქრებინებს და ათქმევინებს, ყველაფერს რაც მისი გონებისა და გულისათვის შესაძლებელია; პატივისცემა, დაფასება სხვისა წყნარად გაარჩევინებს მის ნაგრძნობს და ნაფიქრებს,ააწონინებს სვინიდისიანად და რაც მისაღებია მიაღებინებს და რაც არა, არა. ამ საზოგადო პრინციპის ვრცლად გარჩევა ამისთანა პატარა კორრესპონდენციაში არ მოხერხდება, მაგრამ აქ იმას მაინც დავსძინებ, რომ ყოველნაირი მოძრაობა, ეხლანდელ საერო ცხოვრებაში ამ მიზნისკენ მიიზიდვის, რომ საზოგადოება ამ ნაირათ მოეწყოს, რომ ამ პრინციპს თავის გამხორციელებელი გარემოებები ეპოვებოდეს. შვეიცარიასაც ბევრი უკლია ამ მიზნამდის მიწევას, მაგრამ ყველა სხვა ხალხებზედ რომ უფრო ახლოს არის ესეც ნამდვილია. შვეიცარიაში სითვალბლე, ერთი ერთმანეთის დაფასება, პატივისცემა და თითქმის სიყვარული, რომელსაც კაცი მათში ხედავს, მეტად ყურადღების მისაქცევია. სხვა რომ არა იყოს-რა მარტო ეს თვისება გაარჩევს შვეიცარიელს სხვა ხალხებისგან. სულ რომ ახლოს იყოს კაცი შვეიცარიაზედ, მაინც ეს თვისება პირ და პირ თვალში ეცემა, შამოადგამს თუ არა აქ ფეხს. ჩემი ფიქრით ამ თვისებიდგან წარმოსდგება ის მეგობრული, ძმური დამოკიდებულება, რომელიც სხვა და სხვა კანტონების ხალხს შუა სუფევს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ყოველ ნაირი მიზეზი და შემთხვევა საკმაო არის, რომ ეს ძმური განწყობილება გამოცხადდეს ხოლმე. ამისთვის შემთხვევა ხან უცდელათ შეუხვდებათ და ხან თვითონ მოძებნიან ხოლმე. ამ ნაირათ აახლებენ ერთი ერთმანეთთან კავშირს, ერთობას, სიყვარულს და მეგობრობას. ეს სიტყვები ყველანი თითოეულად და შეუცვლელად იხმარება ამათ ერთი ერთმანეთის განწყობილების გამოსახატველად. ეს დამოკიდებულება და ერთობაც უფრო ამნაირ გრძნობებზედ არის დამყარებული, ვინემ რომელიმე პოლიტიკურს კონსტიტუციებზედ და პარაგრაფებზედ. ყოველ კანტონს თავისუფლათაც უნდა ცხოვრება და მასთან ძმურათაც თავის მეზობელ კანტონთან. აი მეც ამ ძმურ განწყობილებაში ვხედავ მთელი შვეიცარიის ძალას და მისი „კავშირის“ სიმკვიდრეს და სიმტკიცეს. ყოველ ნაირ დღესასწაულებში და თავყრილობებში ამ გრძნობას თავისი ადგილი უკავია. აი ამ პატარა დღესასწაულშიაც, რომელიც ამ კვირას იყო ჟენევაში, აქედგან დაიწყეს საქმე; მოსვლისას პირ და პირ გაშლილ სუფრაზე მიიწვიეს, მერმეთ მათთვის დანიშნულ ბინებზედ მიუძღვენ. მეორე დღეს, დილა სხვა სიამოვნებით გაატარეს და ნასადილევს 2-საათზე საზოგადო კონცერტი იყო აქაურ უპირველეს ეკკლესიაში ეს ეკკლესია ერთი დიდი შენობა არის; შიგ რამოდენიმე ათასი კაცი ეტევა; როცა იქ წირვა არის ხოლმე, ღვდლის ქადაგებას ძრიელ ცოტა სმენულობას, თუ რომ ორ სამ საჟენზედ მოშორდი საქადაგებელ კათედრას, სრულებით აღარა ისმისრა. წირვა ყოველთვის არის ამ ეკკლესიაში, ხალხიც ბევრი დაიარება, მაგრამ ქადაგების მსმენელები ერთობ ცოტა არიან; ეს არაფერი: წირვაზედ სხვაგან სად დადიან რასმეს მოსასმენათ და გასაგებათ, რომ აქ იარონ. ეს ეკკლესია მეთორმეტე საუკუნეში არის აშენებული; დიდ რეფორმაციამდის კათოლიკებს სჭერიათ და მერმე მათთვის კალვინისტებს ჩამოურთმევიათ; ახლაც ამ უკანასკნელების ხელში არის: კალვინისტებს ეკკლესიაში საზოგადოთ არავითარი ნიშანი არა აქვთ: არც ხატი, არც ასე გასინჯეთ ჯვარი; ამათ მსგავს მათს ეკკლესიაში ვერას მოიძევ. შუა ადგილს ერთი ქვის ბოძის კუთხეზედ არის პატარა კათედრა, საიდგანაც ღვდელი ქადაგობს ხოლმე. ამათი წირვა ეს ქადაგება არის. ამ ნაირათ ამოდენა დარბაზი საჯდომებით მორთულია და სხვა ახირებული არაფერი უშლის კაცს. ამ ეკკლესიებში ხშირად არის ხოლმე კონცერტები ბალები და მასკარადები ჯერ არ დაუწყიათ, მაგრამ შემდგომში იქნება ესეც შემოიტანონ. ბურბაკის ჯარი როცა გადმორეკეს გერმანიელებმა შვეიცარიაში, ნახევარი სულ ამ ეკკლესიებში იყვნენ. ეხლაც ასე მოიქცნენ და გამოარჩიეს ეს დიდი ეკკლესია საკონცერტოთ, სადაც ყველა საზოგადოებამ, მოსულმა და აქ დამხდომმა, მიიღო მონაწილეობა. ხალხიც მრავალი იყო და კიდევ უმრავლესი იქნებოდა, რომ ეკკლესიას მეტის დატევა შესძლებოდეს. მართალია კონცერტის ყველა კმაყოფილი დარჩა, მაგრამ ამ ხალხის სიმრავლით კი არა დაიფასებარა, ამიტომ რომ ჟენეველებს ერთობ უყვართ მუზიკა და კარგსა და ავზედ ყველგან აუარებელ ხალხსა ნახავთ ხოლმე; ამიტომაც კონცერტები ერთობ ხშირი არის აქ. ერთი თეატრი აქვსთ, ყოველ საღამოს აქ ოპერა არის. ამას წინეთ ბრაუნშვეიგის გერცოგი მოკვდა აქ და მან უანდერძა ქალაქს 25 მილიონი ფრანკი. იმათი პირველი საქმე ის იყო, რომ მილიონ ნახევარი ახალი თეატრის ასაშენებლათ გადაედვათ და სხვას მის შემდეგ დაუწყეს განაწილება. ამ კონცერტის შემდეგ, საღამოზედ მეჯლისი იყო; აქ, როგორც თითონ თქვენც კარგათ წარმოიდგენთ, სადღეგრძელოები იყო; პირველი სადღეგრძელო მამულისათვის იყო და ამ საგანზედ თითონ კომიტეტის პრეზიდენტმა ერთი გრძნობით სავსე და აზრიანი, სიტყვა წარმოსთქვა. აი ეს სიტყვაც:

„საყვარელო მეგობრებო, საყვარელო მემამულენო! ერთი ჩვენი პატრიოტული სიმღერა, რომელიც თქვენ ყველამ იცით, იწყება ამ ნაირათ:

„არის, მეგობრებო, ერთი წმინდა ქვეყანა,
„სადაც ყველა მის შვილებს სიკვდილი მაინცა სურთ.
„მაღალი მთებიდგან, რომლითაც ის გარშემორტყმულია.
„ვის ჩვენთაგანს უნახავს რომ გული არ ავსებოდეს დამატკბობელი გრძობით.
„გამაგრებულის თოვლით მოვერცხლულ მთის წვერებით,
„კოშკების მსგავსად ამართული ჰაერში კლდებით,
„აყვავებული ხეობებით, ჰელვეცია! ჰელვეცია!
„ეს შენ ხარ, შენ, რომელიც ჩვენ გვიყვარს მარადის.“

აი ამ სამშობლოსთვის, საყვარელო მეგობრებო, ამისთვის უნდა იყოს ჩვენი პირველი ფიქრი ჩვენს დღესასწაულებში. ჩვენ გვიყვარს ეს შვეიცარი მიწა, რომელიც ჩვენი მიწა არის, ჩვენ გვიყვარსა, მისი მთები, მისი მინდვრები, მისი ტყე და მისი ტბები, რომლის ლაჟვარდოვან სარკეში იხატება მისი მშვენიერება.

ჩვენ გვიყვარს მისი ყოველნაირი საზოგადოებანი, რომელნიც ვრცელდებიან მის თავის უფალ მიწაზედ.

ჩვენ გვიყვარს მისი დღესასწაულები, როდისაც ყველა კანტონები თავს იყრიან, მოქმედებენ, სტკბებიან მხიარულებით სამშობლოს მფარველობისა ქვეშ და მისი შთაგონების ძალით.

მაგრამ ჩვენ ყველაზედ მეტად აი რა გვიყვარს ამ სამშობლოში: მისი თავის-უფალი წყობილება, მისი რესპუბლიკური სიცოცხლე, რომელიც სდუღს თითოეულ კანტონში, თითეულ კომუნაში (საზოგადოებაში) მისი თავისუფლება, რომელიც ჩვენს სიამაყეს შეადგენს.

ვადღეგრძელოთ შვეიცარიის ფედერაცია, ჩვენყველასი დედა მშობელი!

რომ მის წყობილებას მიეცეს ჯეროვანი სიმკვიდრე და ძლიერება. განსაკუთრებით, რომ ის თანხმობა, ის ჰარმანია, რომელიც მის შვილებს აერთებს, შეიქმნეს მტკიცე და შეურყეველი.

ესენი, საყვარელო თანა-მემამულენო, ჩვენზედ არის დამოკიდებული, მარტო სამშობლოს ბედნიერების სურვილი არ არის საკმაო, უნდა თითონ ამ ბედნიერებისათვის ვიმუშაოთ.

იმისთვის, რომ ოთხ ხმოვანი გალობა ითქვას, ორი საქმე არის საჭირო: შესწავლა და კეთილი სურვილი. როდესაც თითეულმა მგალობელმა კარგათ შეისწავლა თავის ნაწილი და განიმეორა თავის თანა მგალობლებთან, მტკიცედ გულის მოწადინეობით, რომ ეს გალობა კარგათ გამოვიდეს, მაშინ მთელი გალობის ასრულებაში მეტის სიცხოვლითა სჩანს ჰრმანია, ეჩვენება კაცს, რომ ათასი ხმიდგან მარტო ერთი ხმა არის შემდგარი. აი ეს არის ყველას საერთო მოწადინეობის შემდეგი.

ამ ნაირათვე მთელ კონფედერაციაში ოთხი ხალხია, ოთხი ენაა, ოც და ორი კანტონი, სადაც თითოეულს თავის მიმართულება აქვს და თავის ხაკუთარი ცხოვრების წესი.

მაგრამ ამ უთანასწორობას აერთებს ერთი უმაღლესი და საზოგადო გრძნობა; გრძნობა,—რომელიც პიროვნულ სარგებლობას საყოველთაო სიკეთისთვის ავიწყებინებს კაცს; ეს გრძნობა მარტო ერთი სახელით იცნობება, ეს სახელი მ ა მ უ ლ ი ს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ა!

მამულის სიყვარული მარტო იმის თქმაში არა მდგომარეობს, რომ ის გიყვარს; მისი სიყვარული მისთვის თავის დადებას შეადგენს, რომ კეთილ-სვინიდისიანათ აასრულო შენი კერძო შრომა საერთო ნაციონალურ შრომაში.

შვეიცარიის კონფედერაცია, საყვარელო მეგობრებო, კრიტიკულ მდგომარეობაში არის—თუმცა უფრო ნაკლებ, ვინევ ამ ორი წლის წინეთ, მაგრამ მაშინდელი უთანხმოება დღემდის არ გამქრალა;

ვიმედოვნოთ, ვისურვოთ, რომ ამ მძიმე დრომაც ისე გაიაროს, როგორც სხვა მსგავს დროებას სხვიმის გაუვლია: ერთი ერთმანეთის დათმობით და ყველას სათნოებისათვის.

მაგრამ მარტო იმედოვნობა არ გვეყოფა—ვიმუშავოთ ამისათვის.

ვეცადოთ, ავასრულოთ ჩვენი მოვალეობა იმ მდგომარეობაში და მოხელობაში სადაც თითოეული ჩვენგანი იმყოფება.

ყველა ჩვენგანს მუდმივ თვალ-წინ უნდა ჰქონდეს ის ფიქრი, რომ ჩვენ ყველანი თინასწორი ვართ და უნდა ვცეთ პატივი თანა-მოქალაქეებს იმდენათ, რამდენათაც ჩვენ გვინდა, რომ ჩვენვე პატივცემული ვიქნეთ.

ვიხელმძღვანელოთ ამ ორი პრინციპით და ვიტყვი გაბედვით. ჩვენ ვიმუშავებთ და ვივლით ზომიერათ და თანხმად ჩვენი სამშობლოს კეთილ-დღეობისათვის.

ძვირფასნო თანა-მოქალაქენო და ძვირფასნო თანა-მემამულენო! მოგიწვევ ყველას, დავლიოთ ჩვენი სამშობლოს სადღეგრძელო!

იდღეგრძელოს მარად შვეიცარიის ფედერაციამ, იქმნეს ბედნიერი და ყოველთვის თავის-უფალი!“

გ. ჯ.

# ნარევი

— ვულვიჩში (ინგლისშია) ეხლა ერთი ვეება ზარბაზნის ჩამოსხმას აპირებენ. იწერებიან, რომ ეს ახალი კაცის ამომჟლეტი იარაღი ოთხმოცდა ერთი ტონნის წონა ე. ი. ხუთას ორმოცი ფუთის სიმძიმე იქნებაო.

— ეხლანდელი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, მაკ-მაჰონის, გვარი, როგორც გვაცნობებენ, ყველა ევროპიელს სამეფო გვარებზედ უფრო უძველესი ყოფილა.

— ერთს უჩარჩინებულის ნიუ-იორკელ-გაზეთს ერთი უშველებელი სტამბის მაშინა გაუკეთებინებია, რომელიც თურმე საათში გაზეთის 20,000 ფურცელს ბეჭდავს.

— ერთს ნორვეგიის ქალაქში სქელი ქაღალდის საყდარი აუშენებიათ, რომელშიაც თურმე ათასი კაცი ეტევა. საყდრის ცა, კედლები სვეტები სულ ქაღალდის არის თურმე.

— როცა კიევის ქალაქში მცხოვრები ხალხის აღწერა ყოფილა, ერთს უბანში მრავალი უკანონოთ შეუღლებულნი შვილებიანი ცოლ-ქმარნი უნახავთ როცა ამისთანაებს ჰკითხავდნენ ცოლიანი ხარ, თუ უცოლოო, ისინი ამბობდნენ, უცოლოო. მაშ ეს ვინ არისო? ეს ისე ჩემთან ცხოვრებსო. შვილები ვისია? ჩვენი. ერთი ცოლ-ქმარნი ისეთიც უნახავთ, რომელთაც კანონიერი პირობა შეუკრავთ. ამ პირობას მოწმეებისაგან ხელ მოწერილს ცოლ-ქმარნი სრულიად კანონიერად სთვლიან თურმე.

— ნიუ-იორკიდგან იწერებიან, რომ წითელ კანინაინი მოდოკების ტომზედ გამარჯვება ჩრდილოეთის შტატებს ოთხი მილლიონი დოლლარი დაუჯდათო. ეს ამოჟლეტილი ტომი მარტო ორმოცი კაცისაგან შესდგებოდა და ორმოცი კაცის დასახოცად ამდენი ფულისა და შრომის გაწევა სწორედ სასაცილოა. რამდენი ხარჯი მოდის თითო კაცზედ? ას ორმოცდა ათი ათასი დოლლარი! (სამი დოლლარი ოთხ მანეთს უდრის).

— ნიუ-იორკში ახალი გაზეთი გამოდის თურმე სახელად „ქორწინების მოყვარე“, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ქორწინება გაუადვილოს ყველას, ვინც ცოლს ან ქმარს ეძებს. ჩვენშიაც სწორედ კარგი შემოსავალი ექნებოდა ამისთანა გაზეთს! მაგრამ

Вовсе нѣтъ стариковъ съ капиталомъ!
Вовсе нѣтъ съ капиталомъ старухъ!

— ოთხს მარტს პარიჟში გრაფ ვალდეკს თავისი დაბადება უდღესასწაულებია. ეხლა ის 109 წლისა არის თურმე. ამ დღესასწაულობის დროს ნაშუაღამევს ორ საათზედ იმას ერთი ოპერის არია უმღერია, ისეთის გრძნობითა და ძალით, რომ კაცს გაუკვირდებოდაო. პაპა ჩემი 162 წლის მოკვდაო და ჩემს ოჯახში მე მეოცდა ერთე ვარო რომ 100 წელს გადავცილდიო. რა უჭირთ, ამისთანა კაცები ყოველთვის ბევრს გასძლებენ. სამწუხარო იმათ არა აქვთ რა.

— ინგლისში ეხლა 400 ქაღალდის მკეთებელი ქარხანა ყოფილა. ესენი წელიწადში 300 მილლიონ გირვანქა ქაღალდს ამზადებენ თურმე.

—ლონდონში 830 წიგნის მყიდველი მაგაზინებია თურმე, 377 წიგნის გამომცემლები და 66 საკითხავი ბიბლიოტეკა.

— როშფორი გაქცეულა თავის სატუსაღო ადგილიდგან, და იმას პასკალ გრუსსეც და ორიც სხვა კომმუნალისტი გაჰყოლია. გაზეთები ამბობენ, ვითომც ეს როშფორის გაპარება ერთი მდიდარი ინგლისელის საქმე იყოს, რომელიც როშფორის ნიჭიერების დიდი თაყვანის მცემელიაო. ამ მდიდარს გაუგზავნია ავსტრალიაში თვისი ხარჯით ხომალდი, რომელიც დაუტვირთვინებია სხვა და სხვა იქ გაგზავნილებისათვის საჭირო ნივთებით. ერთ დილას ნუმეიაში ხმა დავარდა, როშფორი და იმისი ამხანაგები გაიქცნენო. საფრანგეთის ადგილობრივს მთავრობას მოუთხოვია ხომალდის კაპიტანისაგან, დაგვანებე ჩვენი ტუსაღებიო; მაგრამ კაპიტანი არ დათანხმებულა და ახალი კალედონიის კუნძულიდგან ეს გათავისუფლებულები ინგლისის სამფლობელო ავსტრალიის ნაწილში მიუყვანია. მალე როშფორი და გრუსსე ლონდონში იქნებიან და ხალხი ძალიან თანაგრძნობით მიღებას უპირებს თურმე იმათ, განსაკუთრებით პასკალ გრუსსეს.

# განცხადება

„მაქვს პატივი ვაცნობო კავკასიელ მეპატრონეთა, რომ მე გავმართე ქ. ქუთაისს ვაჭრობა საუკეთესო სამზღვარ-გარეთელის და ადგილობრივის თესლების: ბოსტნეულისა, ეკონომიურისა და ყვავილოვანისა. ქალაქს გარეთ მცხოვრებთ მებაღეობის მოყვარეთ შეუძლიანთ მოიქცენ ჩემთან ბარათით და ყოველი მათი თხოვნა შესახებ თესლებისა აღსრულდება დაუყონებლივ. თესლების სია შეუძლიანთ ყველამ მოიპოვოს უფასოთ.

ი. ა. ბარტონი.

ბერინშტამის და ვართანოვის წიგნების მაგაზინში და ივანოვის ბიბლიოთეკაში, თფილისს, და ლორთქიფანიძისაში, ქუთაისს, ისყიდება რუსული წიგნი:

**ქუთაისის მაზრის სამსაჯულო.**

პროცესსი ნ. ი. ნიკოლაძისა, რომელსაც მაზრის სამსაჯულოს შეურაცხყოფას აბრალებენ.

**ფასი ორი შაური.**

ქალაქს გარეთლებს შეუძლიანთ ორი ორშაურიანი ფოჩტის მარკა გამოაგზავნონ ამ წიგნის ფასად.

ივანოვის ბიბლიოთეკაში ისყიდება
**ქართულ-ფრანცუზული ლექსიკონი,**
შედგენილი ივ. როტინიანცისაგან.
**ფასი ერთი აბაზი**

ნაფიცი ვექილის თანა-შემწე ვასილი გიორგის ძე მაჩაბელი კისრულობს კავკასიელი საქმეების ვექილობას სხვა და სხვა სამმართველოებში და უმთავრესად სენატში, აგრეთვე სპრავკების გაგზავნას. თითეული სპრავკისთვის უნდა გამოგზავნოთ ხუთი მანეთი.

ადრესი: въ Петербургъ, Малая Садовая дом № 8, кв. № 24.

კონსულის ქუჩაზე, გენერალი აგაევის სახლში, დომბროვსკის სადგომში ისყიდება: შრედერის ფორტეპიანო—ორას მანეთად, ბუფეტი ნიგვზის (კაკლის) ხისა—სამოცდა ათ მანეთად და სხვა საოჯახო ნივთეულობა და მებელი.

განცხადება
**თფილისის სავაჭრო ბანკისა**

თფილისის სავაჭრო ბანკის სამმართველო აცხადებს საყოველთაო საცნობად, რომ ბანკი 11 იანვრიდგან 1874 წ., ცვლილების მოხდენამდის, ასის თავზედ შემდეგის ზომით იღებს და იხდის სარგებელს:

**ИЛЕБС** 

**იღებს**

1.) სესხზედ იმ სარგებლიან ქაღალდებში,
 ა.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში იღებენ:
 სამი თვით . . . . . . . . 6 %
 ექვსი თვით . . . . . . . 7 %
 ბ.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში არ იღებენ:
 სამი თვით . . . . . . . . 7½ %
 ექვსი თვით . . . . . . . 8 %
2.) სპეციალურს ხელად მიბარებულ ფულში,
 სარგებლიანი ქაღალდებით და ვექსილებით უზრუნველ-ყოფილს . . . . . . . . 7 %
3.) ვექსილების დაცვლაში . . . 8 %
4.) საქონლის გირაოში:
 რომელიც მოტანილია . . . . . . 9 %
 რომელიც გზაშია . . . . . . . 10 %

**იხდის**

1.) ხელად მიბარებულ ფულში . . . 5 %
2.) შესანახად მიბარებულში
 ა.) მოთხოვნამდის . . . . . . . 5 %
 ბ.) ექვსი თვით . . . . . . . . 5 %
 გ.) ერთი წლით . . . . . . . . 6 %
 დ.) წელიწადზე მეტის ვადით მიბარებულში — სამმართველოსთან მორიგებით.

სამთავნოდ შესანახი ფული მიიღება: ყველა კერძოობითი პირისაგან, მოვაჭრე საზოგადოებათაგან და კამპანიებისაგან, ეკკლესიებისა და მონასტრებისაგან, სახაზინო და საზოგადოებრივს დაწესებულებათაგან,—ას მანეთზედ არა ნაკლები.

ბანკში შენახული ფულების ბილეთები, ფინანსთ-მინისტრის განკარგულების თანახმად, ყველა სასამართლოებში და სახაზინო სამმართველოებში იჯარისა და შეკრულობის გირაოდ მიიღებიან: უვადო და ექვს თვემდის ვადიანი—მანეთი მანეთად და ერთის წლის და მეტის ხნით ვადიანი—ცოტა ნაკლებათ. ფოჩტით გამოგზავნილს შესანახს ფულს შემდეგი განცხადება უნდა მოჰყვეს:

**ВЪ ТИФЛИССКІЙ КОММЕРЧЕСКІЙ БАНКЪ**

Отъ такого-то

**ОБЪЯВЛЕНІЕ.**

Препровождая при семъ столько то рублей, прошу принять эту сумму на вкладъ для обращенія изъ процентовъ на такой то срокъ (или до востребованія, или на такихъ то условіяхъ) и выслать билетъ на мое имя или на имя токого то, или на предъявителя,) по такому то адресу.

Число, мѣсяцъ и годъ. Подпись и мѣстожительство.

„დროება“. 1874, № 418

# ცნობათ-ფურცელი

თფილისი, 12 აპრილი 1874 წ.

### რკინის გზა

| ა) თფილისიდამ | დილა | საღამო |
|---|---|---|
| თფილისი | 8.8 | 8.17 |
| მცხეთა | 9.8 | 10.— |
| გორი | 11.39 | 1.43 |
| სურამი | 1.52 | 4.30 |
| ყვირილა | 6.49 | |
| ქუთაისი | 7.55 | |
| სამტრედია | 9.02 | |
| ახალ-სენაკი | 10.02 | |
| ფოთი | 11.27 | |

| ბ) თფილისისკენ | დილა | დილა |
|---|---|---|
| ფოთი | 7.38 | |
| ახალ-სენაკი | 9.11 | |
| სამტრედია | 10.2 | |
| ქუთაისი | 11.7 | |
| ყვირილა | 12.38 | |
| სურამი | 4.57 | 7.15 |
| გორი | 7.23 | 10.12 |
| მცხეთა | 9.52 | 1.49 |
| თფილისი | 10.49 | 3.13 |

| გ) ფასი თფილისიდამ | I კლ. | II კ. | III კ. |
|---|---|---|---|
| მცხეთამდი | 90 | 68 | 38 |
| გორამდი | 3.20 | 2.40 | 1.33 |
| სურამიდამ | 5.22 | 3.92 | 2.18 |
| ქუთაისამდი | 9.— | 6.75 | 3.75 |
| ფოთამდი | 13.1 | 9.75 | 5.42 |

### ცეცხლის გემები

ა) შავ-ზღვაზე
ფოთიდამ გემი მიდის:
ოდესისკენ— ხუთშაფ. შუადღეზე.
სტამბოლს— კვირაობით შუადღეზე.
სოხუმიდამ:
ფოთს—სამშაფათს, ღამე.
ოდესას—პარასკევს, შუადღეზე.
ბ) კასპიის ზღვაზე:
ბაქოდამ გემი მიდის:
ასტრახანისკენ—
ასტრაბადისკენ—

### ტელეგრაფი

ოცი სიტყვის გაგზავნა ტელეგრაფით ღირს თფილისიდამ:

| | მ. | კაპ. |
|---|---|---|
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | — | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 3 | — |
| ვენას, ავსტრიაში | 2 | 75 |
| გერმანიაში | 2 | 63 |
| იტალიაში | 3 | 50 |
| საფრანგეთში | 3 | 38 |
| შვეიცარიაში, ოსმალეთში | 3 | — |
| ინგლისში | 4 | — |
| საბერძნეთში | 3 | 25 |
| სპარსეთში | 5 | 76 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ:
რუსეთს: ყოვ. დღეს, კვირას გარდა. ქუთაისს: ყოველ. დღე კვირას გარდა. კახეთს, ზუგდიდს: პარასკ. ოზურგეთს: ორშ., პარ. ბაქოს: სამშაფათს და პარასკ. ალექსანდრეპოლს: ოთხშ. და პარასკევს. (შუადღემდი)
ბ) ქუთაისიდამ:
თფილისს და რუსეთს: ორშაფ. ოთხშაფ. და პარასკ. ფოთს და სოხუმს: ორშაფ., ხუთშაფ. და შაფათს. ოზურგეთს, ზუგდიდს და ახალ-სენაკს: ორშაფათობით (საღამომდე.)
გ) გორიდამ.
ყოველგან: ორშაფ ოთხშაფ. და პარასკეობით (საღამოს შვიდ საათამდე)
დ) ფოთიდამ:
ყოველგან: ყოველდღე.

წიგნის გაგზავნა ღირს:

| | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის რუსეთში | 5 |
| დაბეჭდილი წიგნის რუსეთში | 10 |
| საფრანგეთში | 20 |
| გერმანიაში | 10 |
| ინგლისში | 16 |

### ბირჟა

| პეტერბურგი, 2 აპრილს | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბანკის ბილეთი 5% | 96 | — |
| მოგებიანი (პირველი სესხის) | 165 | 50 |
| მოგებიანი (მეორე სესხისა) | 162 | — |
| **კ უ რ ს ი** | | |
| ერთ მანეთში იძლევიან. | | |
| ლონდონში | 33½ | პენ |
| პარიჟში | 350 | სან |
| ვენაში | — | — |
| ესკონტი (სარგებლის ფასი) | 7½ | — |
| გირაოს ფურცლები: | — | — |
| ხერსონის ბანკისა (5½) | 85½ | — |
| ხარკოვის (6%) | 83 | — |
| მოსკოვის (5%) | 87 | — |
| **ა ქ ც ი ე ბ ი:** | | |
| შავიზღვის ცეც. გემების | 567 | — |
| კავკაზის და მერკურის | 190 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 127 | 50 |
| თფილისის სავაჭრო ბანკის | — | — |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 240 | — |
| „სალამანდრასი“ | 315 | — |
| კამპანიის Двигатель. | 100 | — |
| პირვ. უზრუნველ-მყოფი (страх. общ.) საზოგ | 640 | — |
| მეორე უზრუნ. მყოფი საზ. | 178 | — |
| პეტერბ. უზრუნვ. მყოფი | 262 | 50 |
| მოსკოვის უზრუნვ. მყოფი | 268 | — |

### თფილისის მაზანდა

| 12 აპრილს, 1874 წ. | მან | კაპ |
|---|---|---|
| პური ერევნის | | 95 |
| — განჯის | 1 | — |
| — შორაგლის | 1 | — |
| ქერი | — | 60 |
| ბამბა ერევნის | 4 | 20 |
| — ამერიკისა | 5 | 70 |
| გაპენტილი ბამბა | 8 | — |
| მატყლი თუშური | 6 | — |
| — თარაქმული | 4 | — |
| აბრეშუმი | 7 | — |
| ქონი | 3 | 80 |
| ქონის სანთელი | 6 | — |
| სტეარინის სანთელი | 11 | — |
| ხორცი ძროხის | — | 80 |
| — ცხვრის | — | 90 |
| სპირტი | 7 | — |
| შაქარი კარგი | 7 | 90 |
| — მდარე | 7 | 80 |
| — ფხვნილი | 6 | 50 |
| ყავა გრგვალი | 20 | — |
| — საშუალი | 18 | 50 |
| — მდარე | 16 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთის | 7 | — |
| — მწარე | 4 | — |
| ოქრო ნახევარი იმპერიალი. | 5 | 50 |

### სახაზინო განცხადებები

—თბილისის გუბერნის სამმართველოში მომავალს ათს მაისს ისყიდება თ. პეტრე ბებუთოვის საკუთარი ს. ახალდაბას მდებარე სახნავი, საბალახო და ტყიანი მიწები, რომელიც გირაოთ აღებული ჰქონდათ იჯარადრებს დუბენსკისა და იშხანოვს. ეს ადგილები ისყიდება 3785 მანეთის ვალში.

—„კავკაზის პრიკაზში,“ დიდის თავადის ნამესტნიკის ნებართვით, დანიშნულია 17 ივნისს ხელ-მეორეთ ვაჭრობა გულიაზოვების, ს. გრიმელოვის, გ. ხანჩალუზოვის საკუთრება ქვის სახლებისა და ადგილების გასასყიდად პირველის ვალია 2250 მანეთი, მეორესი—1500 და მესამესი—600 მანეთი.

—ამავე რიცხვს არის ხელ-მეორედ ვაჭრობა თ. ალ. ივ. ორბელიანის ადგილ-მამულის გასასყიდად. მამულზედ 20 ათასი ვალი არის.

(დაწვრილებითი ცნობები იხილე „კავკაზის“ №№ 32, 33-ში)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Апрѣля 1874 г. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი.—დროებითი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე.